ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/ე 104-12 22 02 2012 წ.

დადგენილება №001569
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

22.02.2012წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2012 წლის 20 იანვრის №001569 მითითება და 2012 წლის 10 თებერვლის №001569 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. "სამედიცინო ცენტრი ურანტი"-ს (მის.: ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV და V მ/რ შორის) მიმართ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ნუცუბიძის IV და V მ/რ შორის შ.პ.ს. "სამედიცინო ცენტრი ურანტი"-ს მიერ განხორციელდა სამედიცინო სამკურნალო ცენტრის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის მიერ №01/2156 04.08.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. კერძოდ, I სართულზე „ა-ვ" მონაკვეთში „1-1" ღერძის გარეთ შეცვლილია კედლის კონფიგურაცია მთელ სიგრძეზე. შენობაში ორივე სართულზე შეცვლილია კოლონების რაოდენობა და მათი ადგილმდებარეობა. II სართულზე „ვ-ა" ღერძებს შორის შეცვლილია სართულშუა გადახურვის ფილის კონფიგურაცია, „1-5" მონაკვეთში ასევე შეცვლილია ფილის ფორმა. სართულებს შორის გაუქმებულია დონე, გასწორებულია ორივე სართული ერთ ნიშნულზე (+3.20 ნიშნულზე). „ვ-ა" და „ა-ვ" ფასადებზე ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების რაოდენობა ფორმა და მათი გაბარიტები, „ა-ვ" ფასადზე +2.40 ნიშნულზე ფანჯრებს შორის დამატებით მოწყობილია კაპიტალური შუაკედლისები.

სამსახურის სპეციალისტის მიერ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2012 წლის 20 იანვარს შედგენილი იქნა მითითება №001569 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2012 წლის 25 იანვარს), რომლითაც განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2012 წლის 10 თებერვალს "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001569 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2012 წლის 13 თებერვალს), რომელშიც დაფიქსირდა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2012 წლის 16 თებერვალს და 2012 წლის 22 თებერვალს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვები. საქმის განხილვათა შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე არ გამოცხადდა შ.პ.ს. "სამედიცინო ცენტრი ურანტი"-ს წარმომადგენელი.

ობიექტი გადამოწმებულ იქნა სამსახურის მთ. სპეციალისტის ლ. ცინცაძის მიერ, რომელმაც დააფიქსირა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "სამედიცინო ცენტრი ურანტი"-ს მიერ ჩადენილია "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-მუხლის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ნუცუბიძის IV და V მ/რ შორის შ.პ.ს. "სამედიცინო ცენტრი ურანტი"-ს მიერ განხორციელდა სამედიცინო სამკურნალო ცენტრის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის მიერ №01/2156 04.08.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. კერძოდ, I სართულზე „ა-ვ" მონაკვეთში „1-1" ღერძის გარეთ შეცვლილია კედლის კონფიგურაცია მთელ სიგრძეზე. შენობაში ორივე სართულზე შეცვლილია კოლონების რაოდენობა და მათი ადგილმდებარეობა. II სართულზე „ვ-ა" ღერძებს შორის შეცვლილია სართულშუა გადახურვის ფილის კონფიგურაცია, „1-5" მონაკვეთში ასევე შეცვლილია ფილის ფორმა. სართულებს შორის გაუქმებულია კონი, გასწორებულია ორივე სართული ერთ ნიშნულზე (+3.20 ნიშნულზე). „ვ-ა" და „ა-ვ" ფასადებზე ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების რაოდენობა ფორმა და მათი გაბარიტები, „ა-ვ" ფასადზე +2.40 ნიშნულზე ფანჯრებს შორის დამატებით მოწყობილია კაპიტალური შეაკედლისები.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის მე-14 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-17 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-18 პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23-ე მუხლის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "სამედიცინო ცენტრი ურანტი" დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "სამედიცინო ცენტრი ურანტი"-ს დაევალოს "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა ვადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: **300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "სამედიცინო ცენტრი ურანტი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი ზ. კერვალიშვილი

საგადახდო დავალება N1
"24" მარტი 2012 წელი

რეფერენსი
1570152591

გადამხდელის დასახელება: შპს სამედიცინო ცენტრი ურანტი

ანგარიში (დებეტი) GE24BG0000000892567800
(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

თანხა
3000-00

თანხა სიტყვებით
სამი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს სამედიცინო ცენტრი ურანტი

საიდენტ. კოდი 205262785

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

ანგარიში/სახაზინო კოდი 300773263
(კრედიტი)

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი
TRESGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 26.03.12

გატარებულია ბანკის მიერ: 24.03.12

ხელმოწერა

გადახდის დანიშნულება: ჯარიმის თანხა # 001569 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

დამატებითი ინფორმაცია:

შტამპის ადგილი

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი